ოქმი N6

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეხუთე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2023 წლის 31 მაისი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 33 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 31 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ქავთარაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია, რომ გარდაიცვალნენ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყოფილი წევრები გიგლა იობაძე და გოჩა სიჭინავა, ისაუბრა მათ მიერ გაწეულ საქმიანობაზე და ბოლოს წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მათ ხსოვნას.

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე " დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში, არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: № 45.15.22.020; დაზუსტებული ფართობი: 599 970.0 კვ.მეტრი) ნავთობგადამამუშავებელი ქარხნისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავებაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: გ. ჩაბალუხა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის
სამსახურის უფროსი);

3. სხვადასხვა

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 31 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 31, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ზაქარაია, ჩარტია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე " დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე "

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ლიპარტია) წარმოედგინა დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

ლ. ლიპარტია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ პრიორიტეტებისა და გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", რომლის თანახმადაც ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გადიდდა შემოსულობები „გრანტებიდან" (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი

პროექტების ფონდი და სოფლის მხარდაჭერის პროგრამა) 1413,0 ათასი ლარით და განისაზღვრა 22156,8 ათასი ლარით.

2023 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთიდან 1062,1 ათასი ლარი, (ადგილობრივი ბიუჯეტი) მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად:

პრიორიტეტის „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება" ასიგნებაზე 59,8 ათასი ლარი, აქედან: 59,8 ათასი ლარი - „სხვა ხარჯები"-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „სხვა დანარჩენი მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული" ასიგნებაზე; **პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია" ასიგნებაზე 987,3 ათასი ლარი, აქედან: 136,3 ათასი ლარი - მუხლის „არაფინანსური აქტივები" ასიგნებაზე, მათ შორის:** 8,5 ათასი ლარი - ქ. ხობში სამეგრელოს ქუჩაზე გზის დარჩენილი ნაწილის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; 13,5 ათასი ლარი - ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში ბარათაშვილის ქუჩაზე გზის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; 11,5 ათასი ლარი - ქ. ხობში ჭალადიდელის ქუჩაზე გზის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; 20,0 ათასი ლარი - ქვემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში გ. ქარჩავას ქუჩაზე გზის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; 18,5 ათასი ლარი - ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში (რიჟამაძეების უბანი) გზის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; 25,0 ათასი ლარი - ზემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში (საალანიო-საფაჩულიოს უბანი) გზის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა (ორ ნაწილად); 12,0 ათასი ლარი - ზემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში (სათურქიოს უბანი) გზის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა (ორ ნაწილად); 8,8 ათასი ლარი - ახალი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში (შეროზიების უბანი) გზის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; 9,0 ათასი ლარი - ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში (რუსიების უბანი) გზის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; 7,0 ათასი ლარი - ახალი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში (საღვინჯილიოს უბანი) გზის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; 2,5 ათასი ლარი - ახალი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში (საღურწკაიოს უბანი) გზის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; **708,8 ათასი ლარი - ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „არაფინანსური აქტივები"**

ასიგნება, მათ შორის: 1,0 ათასი ლარი - ქ. ხობში ნოდარ შენგელიას სახელობის მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; 1,0 ათასი ლარი - ხამისქურის ადმინისტრაციულ ერთეულში მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; 1,0 ათასი ლარი - შუა ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; 3,0 ათასი ლარი - ხეთის ადმინისტრაციული ერთეულის სპორტული მოედნის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; 2,0 ათასი ლარი - ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; 0,5 ათასი ლარი - პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; 32,0 ათასი ლარი - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში საკონფერენციო დარბაზის გახმოვანების მოწყობის სამუშაოები; 328,7 ათასი ლარი - სპეციალიზირებული ავტომანქანის, ამწე კალათა, შეძენა; 339,6 ათასი ლარი - საასენიზაციო მანქანას შეძენა; **4.2 ათასი ლარი ქვეპროგრამის „სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია" ასიგნებაზე, აქედან:** 3.0 ათასი ლარი ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „არაფინანსური აქტივები" ასიგნება, მათ შორის: 3.0 ათასი ლარი - პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში (საჩოკორაიოს უბანი) არხის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; 1,2 ათასი ლარი „საქონელი და მომსახურება"-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი" ასიგნებაზე, მათ შორის: 0,9 ათასი ლარი - საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში (ზენის უბანი) ღელეს (უჩაღალუ) ამოწმედის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; 0,3 ათასი ლარი - საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში (სასერგიოს უბანი) არხის ამოწმედის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; **138,0 ათასი ლარი პროგრამის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა" ასიგნებაზე, აქედან:** 16,0 ათასი ლარი „სხვა ხარჯები"-ის ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული" ასიგნება, მათ შორის: 16,0 ათასი ლარი - თორსა-დღვაბის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ თორსის თორსის საჯარო სკოლის ეზოს შემოღობვა; 22,0 ათასი ლარი „საქონელი და მომსახურება"-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი" ასიგნებაზე, მათ შორის: 5,0 ათასი ლარი - ზემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ სახოჭოლავოში სანიაღვრე არხის ამოწმენდა; 12,0

ათასი ლარი - შუა ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გვიმარონში სანიაღვრე არხის ამოწმენდა; 5,0 ათასი ლარი - გაღმა საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო გზების მოხრეშვა; 100,0 ათასი ლარი ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „არაფინანსური აქტივები" ასიგნებაზე, მათ შორის: 16,0 ათასი ლარი - ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ კუთხე ნოჯიხევში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია; 32,0 ათასი ლარი - ხამისკურის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ საქირიოში ანზორი ბერიშვილის სახლთან არსებულ ღელეზე ხიდბოგირის მოწყობა; 12,0 ათასი ლარი - გურიფულის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ პირველ გურიფულში არსებული მინი-სტადიონის რეაბილიტაცია; 20,0 ათასი ლარი - პატარა ფოთის ადმინისტრაციული ერთეულში წმ. ბარბარეს ქუჩაზე გარე განათების მოწყობა; 20,0 ათასი ლარი - საგვიჩიოს ადმინისტრაციულ ერთეულში სკვერის მოწყობა; **პრიორიტეტის „კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები" ასიგნებებზე 15,0 ათასი ლარი, აქედან:** 15,0 ათასი ლარი - „სხვა ხარჯები"-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „სხვა დანარჩენი მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული" ასიგნებაზე (წარმატებულ სპორტსმენებსა და მათ მწვრთნელებზე ფულადი ჯილდო). გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა დასამტკიცებლად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 30, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ზაქარაია, ჩარტია, ქ. კვირიკაშვილი)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N18 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში, არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: № 45.15.22.020; დაზუსტებული ფართობი: 599 970.0 კვ.მეტრი) ნავთობგადამამუშავებელი ქარხნისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავებაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: გ. ჩაბალუხა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის

ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: გ. ჩაბალუხა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში, არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: № 45.15.22.020; დაზუსტებული ფართობი: 599 970.0 კვ.მეტრი) ნავთობგადამამუშავებელი ქარხნისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავებაზე თანხმობის მიცემის შესახებ" და განაცხადა, რომ გეგმარებით ტერიტორიაზე დაგეგმილია ნავთობგადამამუშავებელი ქარხნისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის მშენებლობა, საორიენტაციო წარმადობით 3 მლნ ტონა წელიწადში. გათვალისწინებულია ნედლეულისა და სარეალიზაციო პროდუქციის მიღების, შენახვისა და გადაზიდვის ობიექტების, ენერგომომარაგების ობიექტები, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების მოწყობა, ასევე განთავსდება ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობები და ქარხნის სხვა ობიექტები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ი. ჯიშკარიანი - გამომსვლელმა განაცხადა, რომ კარგია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხორციელდება დიდი პროექტის მშენებლობა, მაგრამ დაინტერესდა აღნიშნული პროექტის განხორციელებით ხომ არ დაბინძურდებოდა გარემო და არსებული ტერიტორია?

გ. ჩაბალუხა - გამომსვლელმა განმარტა, რომ როგორც მისთვის ცნობილია, ადრეც ყოფილა აღნიშნული პროექტი წარმოდგენილი, მაგრამ ნებართვა არ გაცემულა, ამჟამად წარმოდგენილი აქვთ კორექტირებული პროექტი, რომელიც გარემოზე ზეგავლენას არ მოახდენს.

ლ. ქავთარაძე - გამომსვლელმა განაცხადა, რომ კარგია და დადებითად იმოქმედებს წარმოდგენილი პროექტის განხორციელება, მუნიციპალიტეტის განვითარებაზე, მაგრამ აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს გარემოზე მისი ზემოქმედების ხარისხი და მოსახლეობის უსაფრთხოება.

კითხვა-პასუხის დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარეს (ბ. მამაცაშვილი) წარმოედგინა დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

8. **მამაცაშვილი** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მერიაში შპს „ბლექ სი პეტროლიუმი"-ს მიერ წარმოდგენილ იქნა წინადადება ხობის მუნიციპალიტეტის ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში, მის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: № 45.15.22.020; დაზუსტებული ფართობი: 599970.0 კვ.მეტრი) ნავთობგადამამუშავებელი ქარხნისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებაზე თანხმობის მიცემასთან დაკავშირებით. გეგმარებით ტერიტორიაზე დაგეგმილია ნავთობგადამამუშავებელი ქარხნისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის მშენებლობა, საორიენტაციო წარმადობით 3 მლნ ტონა წელიწადში. გათვალისწინებულია ნედლეულისა და სარეალიზაციო პროდუქციის მიღების, შენახვისა და გადაზიდვის ობიექტების, ენერგომომარაგების ობიექტები, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების მოწყობა, ასევე განთავსდება ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობები და ქარხნის სხვა ობიექტები. საპროექტო ტერიტორიისთვის, სადაც გენერალური გეგმა არ არსებობს, განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირება საჭიროებს მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით საკრებულოსთან სავალდებულო შეთანხმებას, ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის" 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ნავთობგადამამუშავებელი ქარხნისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავებაზე შპს ,,ბლექ სი პეტროლიუმისთვის" თანხმობის მიცემის შესახებ". გამომსვლელის განცხადებით, კომისიამ განიხილა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი და პრეამბულაში შეტანილ იქნა გარკვეული ცვლილებები და დაზუსტებები სამართლებრივ საფუძვლებთან დაკავშირებით, ამასთან ამოღებულ იქნა განკარგულების მე-3 პუნქტი, გამომდინარე იქედან, რომ განკარგულების მეორე პუნქტით განკარგულების აღსრულება ევალება მუნიციპალიტეტის მერიას, რაც განკარგულების მერიაში გადაგზავნის აუცილებლობას განაპირობებს ისედაც. ზემო აღნიშნული კორექტივების გათვალისწინებით კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 30, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ზაქარაია, მ. ჩარტია, ქ. კვირიკაშვილი)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N14 ოქმს თან ერთვის)

3. სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მე-3 საკითხად ჩაწერილია საკრებულოს წევრი მ. იოსავა, რომელსაც სურდა განცხადების გაკეთება და სთხოვა მას ტრიბუნასთან, ასევე სთხოვა საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს მ. ქარდავას დაეკავებინა სხდომის თავმჯდომარის ადგილი და თვითონ დატოვა სხდომათა დარბაზი.

მოისმინეს: მ. იოსავა - გამომსვლელი მიესალმა სხდომის თავმჯდომარეს, კოლეგებს და დამსწრე საზოგადოებას, რის შემდგომაც განაცხადა: „არ მინდა, რომ ისევ დაპირისპირების საგანი გახდეს ჩემი გამოსვლა, მაგრამ მაინც სიმართლე უნდა გითხრათ. გული დაგწყდება ადამიანს, როცა საკრებულოს თავმჯდომარე ეთიკის ნორმებზე მიგითითებს და თვითონ უხამსად და უტიფრად იქცევა. ცინიკურად ნახევრად ხუმრობით ნათქვამი „გრანდიოზული საკითხები" და პოპულიზმი ყოფილა თურმე ჩემი ინიციატივა ხობის მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნაზე, რაზეც უკანონო და დაუსაბუთებელი უარი მითხარით და მასკარადი მოაწყვეთ. შემდეგ სამი კომისიის გაერთიანებულ სხდომაზე აპირებდით ყველა ამ საკითხების ერთად განხილვას, რაც არაკვალიფიციურად განახორციელეთ. რიგი საკითხები საერთოდ არ განგვიხილავს, კომისიას არ მოუმზადებია რეკომენდაციები და ამაზე ახლა დღეს მსჯელობაც არ გინდათ. როდესაც გინდათ და როგორც გინდათ ისე არღვევთ კანონს და საკრებულოს რეგლამენტს. სიმართლეს რომ გეტყვით გწყინთ და ბრაზდებით, ხობის „პატარა არქიპო" რასაც დაგიბარებთ იმის იქით ვერაფერს ვერ ხედავთ და მე რა გიყოთ. საკრებულოს სხდომების სოციალური ქსელით ლაივ ტრანსლირებას ჭირდებოდა 150 ლარი და საკითხი დღესაც ვერ გადაწყვიტეთ და კომიკურად იქცევით. ჩემს მიერ დარეგისტრირებულ განცხადებაზე პასუხიც არ გამეცით. მეოთხე თვეა, რომ კომისიას უნდა ემსჯელა მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და ესეც ვერ მოვახერხეთ. რეკომენდაციები არ მოგვიმზადებია და მინდა წარმოგიდგინოთ ჩემს მიერ მომზადებული რეკომენდაციები მუნიციპალიტეტში დღეს არსებულ პრობლემებზე. 1) განაშენიანების გენერალური გეგმის შემუშავება 2023 წლის ბიუჯეტით არაა გათვალისწინებული. მუნიციპალიტეტის მერია 2024 წელს თუ გეგმავს გენერალური

გეგმის შემუშავებას, მაშინ მიზანშეწონილია მერიამ მიმდინარე წელს ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან გამართოს კონსულტაციები კვალიფიციური გენ-გეგმის მოსამზადებლად. 2) პირველი მაისის, ხამისკურის, საჯიჯაოსა და ახალი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულების წყალმომარაგებით უზრუნველყოფა: ა) პირველი მაისის წყალმომარაგების უზრუნველყოფისთვის მიზანშეწონილია მოსახლეობიდან შემოსული პეტიციის საფუძველზე მერიამ ხელახლა დასვას საკითხი გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის წინაშე პროექტის მომავალი წლის სამოქმედო გეგმაში გასათვალისწინებლად, რისთვისაც საჭიროა წყალმომარაგების პროექტის შ.პ.ს. „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან" შეთანხმება და მიმდინარე წელს პროექტის ცვლილებებისა და გადაფასებისთვის საჭირო თანხის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფა. ბ) საჯიჯაოსა და ახალი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულების წყალმომარაგებით უზრუნველყოფისთვის მიზანშეწონილია მერიამ ხელახლა დასვას საკითხი შ.პ.ს. „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" წინაშე საპროექტო-საღარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად. გ) ხამისკურის ადმინისტრაციული ერთეულის წყალმომარაგება მიზანშეწონილია განხორციელდეს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით. 3) მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის მოწესრიგება, აპარატით გადახდის და სმს შეტყობინების სისტემის დანერგვა; კომპოსტირებული ნარჩენების შეგროვება, ტერიტორიის გამოყოფა და ჰუმუსის წარმოება; სეპარირებული ნარჩენების შეგროვების საპილოტე პროექტის დაწყება; სტიქიური ნაგავსაყრელების გამოვლენა და მათი ლიკვიდაცია. ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება; 4) საავტომობილო გზების დეპარტამენტის წინაშე საკითხის დასმა თბილისი-სენაკი-ლესელიძე და თბილისი-სენაკი-ფოთი საავტომობილო გზების მოვლა-პატრონობის ღონისძიების მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებაზე. საავტომობილო გზების დეპარტამენტის წინაშე წინადადების დასმა საინფორმაციო დაფების „არ დაანაგვიანო"-ს მოსაწყობად. საინფორმაციო დაფების მიმდებარედ ნაგვის ურნების განთავსება. ადგილობრივი ბიუჯეტიდან ცენტრალური საავტომობილო გზის მიმდებარე ტერიტორიის სრულყოფილად გაწმენდა-დასუფთავებისათვის თანხის გამოყოფა. დასაქმების სოციალური პროგრამით დასაქმებული პირებიდან 15-20 კაციანი ჯგუფის შექმნა და მოხალისეებთან ერთად ცენტრალური საავტომობილო გზის გაწმენდა-დასუფთავების ორგანიზება. 5) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის წესის დამტკიცება და გაუმჯობესებული სატრანსპორტო მომსახურეობის უზრუნველყოფა; 6) პარკირების წესის დამტკიცება და პარკირების მოსაკრებლის განსაზღვრა. ქალაქ ხობში ზვიად გამსახურდიას ქუჩის დასაწყისში უფუნქციო ბორდიურის დემონტაჟი ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული გზების მოვლა-

პატრონობის ხარჯებიდან და პარკირების ადგილების მოწყობა; მიზანშეწონილი იქნება პარკირების წესიდან გამომდინარე პარკირების ოპერირება და მოსაკრებლის შეგროვება უზრუნველყოს შ.პ.ს. „ხობი დასუფთავება და განათებამ“. 7) არსებული ქარსაფარი ზოლების მუნიციპალურ საკუთრებაში გადმოცემაზე საკითხის დასმა, მათი ინვენტარიზაცია და ქარსაფარი ზოლის შენარჩუნებაზე ზრუნვა; 8) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაწანწალა ძაღლების სიმრავლის პრობლემის მოსაგვარებლად, საკითხის სრულყოფილად შესწავლა და მდგომარეობის გასაუმჯობესებლად შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება; 9) ხობის მუნიციპალიტეტის 10 ადმინისტრაციულ ერთეულში (ქ. ხობი, ახალი ხიბულა, ბია, თორსა-დღვაბა, ნოჯიხევი, ქარიატა, ქვემო ქვალონი, შუა ქვალონი, ძველი ხიბულა და ჭალადიდი) ქუჩების სახელდების დასრულება; 10) სპორტული ინფრასტრუქტურის (საცურაო კომპლექსი, ცენტრალური სტადიონი, სპორტული დარბაზი, ჩოგბურთის კორტები და ფეხბურთის სავარჯიშო მოედნები) აღდგენა-რეაბილიტაციის მიზნით საქართველოს მთავრობის წინაშე წინადადების მომზადება და საკითხის დასმა, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის ბაზაზე ოლიმპიური მომზადების ცენტრისა და საფეხბურთო აკადემიის დასაფუძნებლად; საფეხბურთო კლუბ "კოლხეთის" გულშემატკივართა და ქომაგთა კლუბს მიზანშეწონილად მიაჩნია საქართველოს მთავრობის წინაშე წარსადგენი წინადადების მომზადება, ქალაქ ხობში არსებული უნიკალური სპორტული ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციის განსახორციელებლად და აღნიშნული სპორტული ინფრასტრუქტურის ბაზაზე ოლიმპიური მომზადების ცენტრისა და საფეხბურთო აკადემიის დაფუძნებაზე. მიზანშეწონილია, რომ მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციის წინადადება შეიცავდეს სახელმწიფოს ან კერძო ინვესტორის დაფინანსების შესაძლებლობას. მთავრობის წინაშე მომზადებული წინადადება უნდა გაეგზავნოს პრემიერ მინისტრს, გუბერნატორს, დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ფეხბურთის ფედერაციას და ოლიმპიურ კომიტეტს. წინადადებაში დეტალურად დახასიათებული უნდა იყოს მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურა: ექსპლუატაციაში შესვლის წელი, ნარჩენი საბალანსო ღირებულება, დაკავებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი, საკადასტრო კოდი, განაშენიანების ფართი, არსებული მდგომარეობის აღწერა და აღდგენა-რეაბილიტაციისათვის საჭირო თანხის ოდენობა. საცურაო სპორტ-კომპლექსში კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილთა რიცხოვნება და მათი ალტერნატიული ფართით უზრუნველყოფის გეგმა. სახელმწიფოს მხრიდან პროექტის დაფინანსებაზე უარის თქმის შემთხვევაში მიზანშეწონილია საინვესტიციო წინადადება ითვალისწინებდეს საცურაო სპორტ-კომპლექსის ცალკე ან ყველა სპორტული ინფრასტრუქტურის ერთად აღდგენის

შესაძლებლობას. ერთად აღდგენის საინვესტიციო წინადადების შემთხვევაში ყველა სპორტული ინფრასტრუქტურის ბაზაზე უნდა განხორციელდეს სააქციო საზოგადოების დაფუძნება, რომლის 5%-მდე წილი უფასო აქციების სახით შესაძლებელია გადაეცეს ხობის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეებს, ხოლო 95%-ი იქნება სახელმწიფო საკუთრებაში, სადაც საწესდებო კაპიტალში შევა საცურაო სპორტ-კომპლექსი, ფეხბურთის ცენტრალური სტადიონი, 3 ერთეული ფეხბურთის სავარჯიშო მოედნები, ორი ერთეული კორტები და ფეხბურთის აკადემიის შენობის ასაშენებლად საჭირო მიწის ფართობი. განისაზღვრება სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალი (დაახლოებით 30-40 მლნ. ლარი) და აქციის ნომინალური ღირებულება. ხობის მუნიციპალიტეტის მერიამ საქართველოს მთავრობიდან უნდა მიიღოს დელეგირება ინვესტორის მოსაძებნად საჭირო აქტივობების განსახორციელებლად, რის შემდგომ შესაძლებელი იქნება საინვესტიციო წინადადებისა და სხვა დოკუმენტაციის მომზადება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 95%-იანი წილის პირობით აუქციონზე გასაყიდად. წილის გასაყიდი ღირებულება უნდა იყოს რეალური, საწესდებო კაპიტალიდან გამომდინარე, დაახლოებით 7-8 მლნ. ლარი, 80-100 მლნ. ლარის ინვესტირების პირობით. ასევე ინვესტორის დაინტერესებისთვის აუცილებელია, რომ სააქციო საზოგადოებას ჰქონდეს ჭაბურღილის მოწყობის უფლება იაფიანი წყლით უზრუნველსაყოფად. პროექტი უნდა იყოს ენერგოეფექტური და თბოეფექტური. ასევე ინვესტორის დაინტერესების მიზნით მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი და განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდების დაახლოებით 700-800 ათასი ლარის აბონომენტების ყოველწლიური შესყიდვა. ასევე მიზანშეწონილია ძირითად საშუალებათა აღდგენა-რეაბილიტაციის პერიოდში (3 წელი) ინვესტორის ქონების გადასახადისგან განთავისუფლება, ხოლო მომდევნო 25 წლის განმავლობაში ქონების გადასახადზე 50%-იანი შეღავათის დაწესება. მთავრობის მხრიდან ასეთი პირობების დელეგირების შემთხვევაში მერიაში შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც იმუშავებს ევროპულ საფეხბურთო კლუბებთან 95%-იანი წილის გასაყიდად. ინვესტორის მოძებნა მუნიციპალიტეტში ფეხბურთისა და სპორტის სწრაფ და ეფექტურ განვითარებას გამოიწვევს. მუნიციპალიტეტის მოსახლეობას და მოზარდ თაობას ექნება შესაძლებლობა იცხოვრონ ჯანსაღი ცხოვრების წესით, განვითარდება სპორტული ტურიზმი და დასაქმდება ათეულობით ადგილობრივი მოსახლე. წინადადება უნდა იყოს სრულყოფილად დასაბუთებული, დანართების სახით უნდა მოიცავდეს ყველა საჭირო დოკუმენტაციას, ცნობებს და ფოტო მასალას. წინადადება განხილულ და მოწონებულ უნდა იქნეს საკრებულოს მიერ. 11) დაუსრულებელი ინფრასტრუქტურული ობიექტების (ღვთისმშობლის მიძინების ტაძართან მისასვლელი გზა, პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში ჩხაიამდე მისასვლელი გზა, თორსა-დღვაბის

ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ თორსაში მისასვლელი გზა) დასრულებით მეტი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტის მიღება; აღნიშნული პროექტების 2024 წლის გეგმაში გათვალისწინება. 12) სტიქიის პრევენციის, სანიაღვრე არხების ამოწმენდისა და ნაპირსამაგრების მოწყობის სამუშაოების მიმდინარეობა; 13) ტურისტული ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა. ტურისტული რესურსების გამოყენება და მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია; 14) ქალაქ ხობში საკანალიზაციო სისტემის მოსაწყობად საპილოტე პროექტის დაწყება; 15) სკოლისა და სკოლამდელი დაწესებულებების, საგზაო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციის მიმდინარეობა; 16) დაჭაობებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გაკულტურება და არსებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების გაუმჯობესება; 17) მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოსა და მერიის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების რეორგანიზაციის და ოპტიმიზაციის გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნა. კადრების კვალიფიკაციის, საჯარო მოხელეთა რანგირების, სახელფასო განაკვეთის შესაძლო მატების და რიგი სხვა საკითხების შესწავლა;" - განაცხადა მან.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე

მეხუთე მოწვევის საკრებულოს 2023 წლის 31 მაისის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ლევან ქავთარაძე
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა ქაჯაია
4. ნუგზარი შუშანია
5. ბექა მამაცაშვილი
6. ვლადიმერ ქანთარია
7. მედეა თათარიშვილი
8. დოდო გაბუნია
9. ლევანი ლიპარტია
10. ია ჯიშკარიანი
11. აკაკი მალანია
12. აკაკი ხურცილავა
13. ბადრი რიჟამაძე
14. გურიელ ქარდავა
15. ბექა ხარბედია
16. გიორგი გვასალია
17. მზია ლემონჯარია
18. გივი ლატარია
19. კობა გერგაია
20. ვეფხვია ფოცხორაია
21. ჯანსუღი ჯიშკარიანი
22. მოგელი ხუხია
23. ფელიქსი წურწუმია
24. ქეთევან კვირიკაშვილი
25. ფრიდონი კუკავა
26. მალხაზ იოსავა
27. ლელა ადანაია
28. თამარი ქირია
29. ნინო ბოკუჩავა
30. სერგო ბერაია
31. ფრიდონი შონია